

Programme

During the whole day, the Tsinandali Festival will host Sergei Rachmaninoff Anniversary Marathon. The Marathon is dedicated to the famous Georgian pianist Lekso Toradze who passed away in 2022. The celebration of the 150th anniversary of Rachmaninoff's birth will start with the concert of Alexander Malofeev, who will perform some of Rachmaninoff's most famous piano pieces.

Sergei Rachmaninoff

Prelude in C-sharp Minor, Op. 3, No. 2

Elegie in E-flat Minor, Op. 3, No. 1

In 1892, 19 years old Sergei Rachmaninoff composed the piano cycle "Morceaux de fantaisie" - a set of five piano pieces that would become his first published work. The earliest piece was a C-sharp minor Prelude around which Rachmaninoff composed and grouped the other four pieces by the principle of contrast. The Prelude is one of his most famous and beloved compositions which demonstrates his remarkable talent as a composer and pianist. The piece is characterized by its achingly beautiful melody and its poignant, melancholic atmosphere. The haunting melody that opens the Prelude is instantly recognizable, making it one of Rachmaninoff's most iconic themes. Its mournful quality has led to the work's popular nickname, "The Bells of Moscow." The Prelude is preceded in the cycle by "Elegie", a deeply moving and evocative piano work that showcases the composer's ability to convey profound emotions through music. Throughout the piece, the Elegie explores a range of emotions, from tender and delicate moments to intense and passionate outbursts. The pieces' emotional intensity and dramatic flourishes are classic traits of Rachmaninoff's style, which combines his Russian heritage with the influence of Western European Romantic composers.

Etudes-Tableaux, Op. 33 and Op. 39

Rachmaninoff's Etudes-Tableaux, Op. 33 and Op. 39, are two sets of piano pieces that hold a special place in the world of piano literature. Composed between 1911 and 1917, these works demonstrate Rachmaninoff's extraordinary pianistic prowess, profound emotional expression, and gift for creating evocative musical imagery. The term "Etude-Tableau" can be translated as "Study Pictures" or "Picture Studies," indicating that these compositions are not merely technical exercises, but also convey vivid musical images and emotions. Each piece is a musical snapshot, capturing different moods, scenes, and emotions, and inviting the listener to embark on a powerful and imaginative journey. Initially, Rachmaninoff composed nine pieces for Op. 33 but published only six of them in 1914; Two of them appeared posthumously and the A-minor étude was revised and used in the Op. 39 set. Today, you will hear all nine of them.

Lilacs, Op. 21, No. 5

Rachmaninoff's "Lilacs," Op. 21, No. 5, is a beautiful and expressive piano piece that exudes nostalgia, tenderness, and poetic lyricism. Composed in 1902, it is part of a set of twelve songs for voice and piano, but it is also often performed as a standalone piano work. One of the notable transcribers of "Lilacs" for piano solo is the composer himself, however, other pianists and composers have also created their versions. The title "Lilacs" reflects the poem's lyrical theme, as the music captures the delicate beauty and fragrant essence of lilac flowers. Whether performed as a standalone piano piece or in its original vocal form, "Lilacs" remains a testament to Rachmaninoff's genius for creating deeply moving and unforgettable music.

Piano Sonata No. 2 in B-flat Minor, Op. 36

While spending the summer of 1913 with his family in Rome, Rachmaninoff began composing two pieces simultaneously, the Second Piano Sonata and the Choral Symphony "The Bells" (which may explain why the Second Sonata is permeated with bell sounds). Both were finished in the late summer at Ivanovka estate. Nevertheless, their fate was different. "The Bells" was met with huge success, listeners admired it and Rachmaninoff named it several times as his favourite piece. The Sonata, on the contrary, was poorly received and the composer removed it from the repertoire after only a few performances. In 1931, however, he returned to the piece. "... In this sonata, so many voices are moving simultaneously, and it is too long," he remarked and reworked the original, reducing its size, simplifying some difficult passages and clarifying the texture. This version did not bring great success to the composer either. It was a friend of Rachmaninoff - Vladimir Horowitz who had the honour of popularising the Second Sonata. He created his own version which combined both the original and revised versions and, after many concerts and recordings, the Sonata finally took its well-deserved place in the repertoire. While history has not rejected the original version, and it is often heard in concert halls, today you will hear Rachmaninoff's 1931 version.

Meanwhile in Georgia...

In 1911, Rachmaninoff made his first visit to Georgia, and subsequently, he returned to Tiflis in 1913 and 1915. Singer Nina Andrianova-Ryadnova shares intriguing details in her memoirs regarding Rachmaninoff's visits to Tbilisi. During his initial visit to Georgia in 1911, Rachmaninoff coincidentally arrived at the same time as another great pianist, Joseph Hoffmann. On November 18, 1911, Rachmaninoff showcased two piano concertos. He began with his Third Concerto in D minor, which was dedicated to Joseph Hoffmann, although the latter had never performed it publicly, claiming it was not suited to him. Rachmaninoff also performed Tchaikovsky's B-flat minor Concerto during the concert. The orchestra's accompaniment pleased Rachmaninoff, and as an encore, he treated the audience to several pieces, including his famous C-sharp minor Prelude, which had been previously performed in Tiflis by Hoffmann too. Joseph Hoffmann, present at Rachmaninoff's concert, enthusiastically applauded him. Later, when Hoffmann played Rachmaninoff's Second Concerto for Georgian public, Rachmaninoff warmly embraced him, expressing, "I've just now realized the beauty of my Concerto." The encounters between the two renowned pianists added an extraordinary dimension to the musical exchange in Georgia during those memorable visits.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

მთელი დღის განმავლობაში წინანდლის ფესტივალი სერგეი რახმანინოვის საიუბილეო მარათონს უმასპინძლებს. მარათონი ეძღვნება 2022 წელს გარდაცვლილი ცნობილი ქართველი პიანისტის ლექსო თორაძის ხსოვნას. რახმანინოვის დაბადებიდან 150 წლისთავის აღნიშვნა დაიწყება ალექსანდრე მალოფევის კონცერტით. რუსი პიანისტი შეასრულებს რახმანინოვის ცნობილ საფორტეპიანო ნაწარმოებებს.

სერგეი რახმანინოვი

პრელუდია დო დიეზ მინორი, თხზ. 3 No. 2

ელეგია მი ბემოლ მინორი, თხზ. 3 No.1

1892 წელს სერგეი რახმანინოვი ქმნის საფორტეპიანო ციკლს „ხუთი პიესა-ფანტაზია“, რომელიც მის პირველ გამოქვეყნებულ თხზულებად შევა ისტორიაში. ყველაზე ადრე შეიქმნა დო-დიეზ-მინორულ პრელუდია, რომლის ირგვლივ კომპოზიტორმა კონტრასტულობის პრინციპით დააჯგუფა 4 პიესა. პრელუდია არის მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ხშირად შესრულებადი კომპოზიცია, რომელიც ავლენს რახმანინოვის კომპოზიტორისეულ და პიანისტურ ნიჭს. ნაწარმოებს გამოარჩევს მძაფრი, მელანქოლიური ატმოსფერო და ლამაზი და,

იმავდროულად, დამბაფვრელი მელოდია. ეს მელოდია, რომელიც ხსნის პრელუდიას, მყისიერად ამოცნობადია, რაც მას რახმანინოვის ერთ-ერთ ყველაზე საკულტო თემად აქცევს. მისმა სამგლოვიარო ხასიათმა განაპირობა პიესის პოპულარული მეტსახელი „მოსკოვის ზარები“. პრელუდიას ციკლში წინ უძღვის „ელეგია“ - ამაღელვებელი და ღრმად ემოციური საფორტეპიანო ნაწარმოები. „ელეგიაში“ რახმანინოვი ნარმოგვიდგენს განწყობების მდიდარ პალიტრას, რომელიც მოოიცავს როგორც ნაზ და ინტიმურ, ისე ინტენსიურ და ვნებიან ემოციებს. „ელეგიის“ ემოციური ინტენსივობა და დრამატიზმი კლასიკური მახასიათებლებია რახმანინოვის სტილისა, რომელშიც მის რუსულ მემკვიდრეობას დასავლეთევროპელი რომანტიკოსი კომპოზიტორების გავლენა ერწყმის.

ეტყუდი-სურათები, თხზ. 33 და თხზ. 39

რახმანინოვის ეტიუდი-სურათები თხზ. 33 და თხზ. 39 საფორტეპიანო ციკლებია, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საფორტეპიანო მუსიკის ისტორიაში. 1911 და 1917 წლებში შექმნილ თხზულებებში ასახავა ჰპოვა რახმანინოვის არაჩვეულებრივმა პიანისტულმა ოსტატობამ, ღრმა ემოციურმა გამომსახველობამ და ამაღელვებელი მუსიკალური სახეების შექმნის უდიდესმა ნიჭმა. ტერმინი „ეტყუდი-სურათები“ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ნაწარმოებები არა მხოლოდ ტექნიკური სავარჯიშოებია, არამედ ისინი გადმოსცემს კონკრეტულ მუსიკალურ სახეებსა და ემოციებს. თითოეული პიესა თითქოს მუსიკალური კადრია, რომელიც აღბეჭდავს სხვადასხვა განწყობას, სცენასა და ემოციას და მსმენელს წარმოსახვით მოგზაურობაში იწვევს. თავდაპირველად რახმანინოვმა დაწერა ცხრა ეტიუდი-სურათი თხზ. 33, მაგრამ მხოლოდ ექვსი მათგანი გამოაქვეყნა 1914 წელს; ორი ეტიუდი დაიბეჭდა მისი სიკვდილის შემდეგ, ხოლო ლა-მინორული ეტიუდი კომპოზიტორმა გადამუშავების შემდეგ თხზ. 39-ში შეიყვანა. დღეს თქვენ მოისმენთ ორიგინალს - 9 ეტიუდ-სურათს თხზ. 33.

„იასამანი“, თხზ. 21, No. 5

რახმანინოვის „იასამანი“ ლამაზი და გამომსახველი საფორტეპიანო ნაწარმოებია, რომელიც ნოსტალგიას, სინატიფესა და პოეტურ ლირიკას გამოხატავს. 1902 წელს რომანსის სახით დაწერილი „იასამანი“ შევიდა ვოკალური ციკლში „12 რომანსი, თხზ. 21“, მაგრამ ის ასევე ხშირად სრულდება როგორც საფორტეპიანო ნაწარმოები. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საფორტეპიანო ვერსიის ავტორი თავად კომპოზიტორია, თუმცა სხვა პიანისტებმა და კომპოზიტორებმაც შექმნეს საკუთარი ტრანსკრიფციები. პიესის სათაურში ასახულია რომანსის ლექსის ლირიკული სახე, მუსიკა კი გადმოსცემს იასამნის ნათიფ სილამაზესა და მომაჭადროებელ სურნელს. „იასამანი“, იქნება ეს საფორტეპიანო თუ ვოკალური ვერსია, რახმანინოვის გენიალურობის დამადასტურებელი შედეგია, რომელიც დღესაც განაგრძობს მსმენელთა მოხიბლვას.

საფორტეპიანო სონატა No. 2 სი ბემოლ მინორი, თხზ. 36

1913 წლის ზაფხულში, როდესაც რახმანინოვი ოჯახთან ერთად რომში ისვენებდა, მან ერთდროულად დაიწყო მუშაობა ორ ნაწარმოებზე - მეორე საფორტეპიანო სონატასა და ქორალურ სიმფონიაზე „ზარები“ და ორივე ნაწარმოები ერთდროულად გვიან ზაფხულში ივანოვკაში - თავის მამულში დაასრულა (შემთხვევით როდია მეორე სონატა გაჭერებული ზარების ჟღერადობებით). მიუხედავად ამისა, მათი ბედი განსხვავებული იყო. „ზარებმა“ მსმენელთა აღფრთოვანება გამოიწვია და რახმანინოვმაც ის არაერთხელ თავის რჩეულ ქმნილებად დაასახელა; აი სონატა პუბლიკამ ცივად მიიღო და კომპოზიტორმაც რამდენჯერმე შესრულების შემდეგ ამოიღო იგი რეპერტუარიდან. თუმცა 1931 წელს რახმანინოვი მაინც მიუბრუნდა სონატას. „... ამ სონატაში ძალიან ბევრი ხმა მოძრაობს ერთდროულად და ის ძალიან გრძელია“, - აღნიშნა მან და გადაამუშავა ორიგინალი: შეამცირა მოცულობა, გაასადავა ზოგიერთი ვირტუოზული პასაჟი და ფაქტურაც უფრო გამჭვირვალე გახადა. არც ამ ვერსიამ მოუტანა დიდი წარმატება კომპოზიტორს. მეორე სონატის პოპულარიზების ბედნიერება რახმანინოვის მეგობარს - ვლადიმირ ჰოროვიცს ხვდა წილად. მან შეიმუშავა

საკუთარი - ორივე გამოცემაზე დაფუძნებული ვერსია და არაერთი კონცერტისა თუ ჩანაწერის შემდეგ კუთვნილი - უმნიშვნელოვანესი ადგილი მიუჩინა სონატას საფორტეპიანო ლიტერატურაში. ისე, ისტორიამ უარი არც ორიგინალ ვერსიაზე თქვა და დღეს ის ხშირად ისმის საკონცერტო სცენებზე. თუმცა დღევანდელ კონცერტზე თქვენ რახმანინოვისეულ, 1931 წლის ვერსიას მოისმენთ.

ამ დროს საქართველოში...

რახმანინოვი საქართველოს პირველად 1911 წელს ეწვია, შემდეგ კი 1913 და 1915 წლებში დაბრუნდა თბილისში. თბილისელი მომღერალი ნინა ანდრიანოვა-რიადნოვა თავის მოგონებებში რახმანინოვის ვიზიტების შესახებ საინტერესო დეტალებს გვიზიარებს. 1911 წელს რახმანინოვის საქართველოში პირველი სტუმრობა შემთხვევით დაემთხვა კიდევ ერთი უდიდესი პიანისტის იოზეფ ჰოფმანის გასტროლებს. 1911 წლის 18 ნოემბერს რახმანინოვმა თბილისელი მსმენელისთვის შეასრულა ორი საფორტეპიანო კონცერტი. მან ჯერ დაუკრა თავისი მესამე კონცერტი რე მინორი, რომელიც სწორედ ჰოფმანს ეძღვნებოდა (თუმცა ამ უკანასკნელს არასოდეს დაუკრავს იგი საჯაროდ და ის ამტკიცებდა, რომ კონცერტი მისთვის შეუფერებელი იყო). შემდეგ კი რახმანინოვმა მსმენელს წარუდგინა ჩაიკოვსკის სი-ბემოლ მინორული კონცერტი. ორკესტრის თანხლებამ რახმანინოვი თუმრე ძალიან გაახარა და საბისე ნომრებად მან რამდენიმე წაწარმოები შეასრულა; მათ შორის ცნობილი დო-დიეზ მინორული პრელუდია, რომელიც მანამდე თბილისში იოზეფ ჰოფმანმა დაუკრა. რახმანინოვის კონცერტზე დამსწრე ჰოფმანი თურმე დიდი ენთუზიაზმით უკრავდა ტაშს. მოგვიანებით კი, როდესაც ჰოფმანმა ქართული პუბლიკისთვის რახმანინოვის მეორე კონცერტი შეასრულა, კომპოზიტორი თბილად მოეხვია მას და წარმოსთქვა: „ახლა ჩავწვდი ჩემი კონცერტის სილამაზეს“. ორი ცნობილი პიანისტის თბილისში შეხვედრამ განსაკუთრებული სახე შესძინა საქართველოს მუსიკალურ სივრცეს.



31-10 September
August 2023

5TH ANNIVERSARY

Sep. 2 | Sat
12:00

PROGRAMME NOTES
BY NINO JVANIA